10-ს აგვისტოს, № 22 1886 წელსა.

მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, უფასოდ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო აცხადებს შემდეგს:

1) მეორეთ გამოცდა მოწაფეებისა, რომლებსაც ერთ ერთ საგანში მიუღიათ ორი (2) ეგზამანების დროს, იქნება ამ მიმავალი თვის აგვისტოს 25 და 26 რიცხვებში, დილის 8 საათიდგან შუადღის 2 საათამდის; 2) გამოცდა ყმაწვილებისა, რომელთაც ჰსურთ შესვლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში იქნება 27 და 28 ამავე ხსენებულ თვესა და იმავე საათს; 3) თხოვნა სასწავლებელში ყმაწვილების მიღებაზედ უნდა იყოს დაწერილი ზედამხედველის სახელზედ და არა მართველობისაზე; თხოვნასთან უეჭველად უნდა წარედგინოს ზედამხედველს 25 აგვისტომდის ყმაწვილის წლოვანებაზედ მეტრიკის აღმოწერილობა სამ აბაზიანის მარკით და ყვავილის აცრის მოწმობა; 4) პირველ მოსამზადებელ კლასში ყმაწვილები იქმნებიან უეგზემენოთ მიღებული 7 წლიდგან 8 წლის ნახევრამდე; სხვა კლასებში უეგზემენოთ მიღება არ შეიძლება არავითარი მიზეზისა გამო; 5) უკეთუ მიღების დროს ყმაწვილები ვაკანციაზედ აღმატებული აღმოჩნდებიან, მაშინ იმათში სამმართველო აღმოარჩევს ჯერ სასულიერო წოდებისას და მერმე თუ დარჩება კიდევ ადგილი, მიიღებს ერის კაცის შვილებს; 6) მიღებულ ყმაწვილებს სასწავლებელში სასამართლო გაასინჯებს ექიმს და, თუ რომელიმე იმათგანი ტანმრთელი არ გამოდგება, უკანვე დააბრუნებს; 7) შემოსვლის უმალვე სასწავლებელში ყმაწვილები უნდა იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი იმ ფორმაზედ, როგორიც არის შემოღებული სასწავლებელში; აგრეთვე ყმაწვილები უნდა იდგნენ ბინაზედ სანდო პირებთან, რომელნიც აღმოჩეულნი ჰყვანან სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს.

კიდევ მოწამებრივი სიკვდილისა გამო სემინარიის რექტორის დეკანოზის ჩუდეცკისა.

«რექტორი მე, სთქვა ლალიაშვილმა სასამართლოს ზალაში, ჯიბრში მიდგა: სემინარიის შაგირდებს გამოუცხადა, რომ არ მომკარებიყვნენ, ჩემთან არ ევლოთ.» ეს სიტყვები რომ მოისმინა საზოგადოებამ, რაღაც შებრალების გრძნობა აღძრა ზოგიერთებში ლალიაშვილისადმი. ამბობდენ ზოგიერთები, რომ ეს ნამეტანი ჩაცივება არისო და უკვირდათ ესრეთი მოქცევა განსვენებული რექტორისა...

ხშირად მიუპყრია ჩვენი ყურადღება ამისთანა სამწუხარო მოვლენებს; ხშირად შეგვხვედრია საზოგადოების შეხედულობისა და აზრის მოსმენა ამისთანა სამწუხარო მოვლენათა გამო და გაოცებულვართ ხოლმე ზოგიერთი ჩაუგონებელი პირების მოსაზრებით და ახირებული მსჯელობით. ხან-დის-ხან მთელი საზოგადოება ცდება ხოლმე და ვერ იჩენს უბრალო გონების გამჭრიახობას, რომ საქმეს ნამდვილად შეხედოს და კარგად გამოიკვლიოს.

განსვენებულს რექტორს ხშირად უთქვამს ჩემთვინაც, რომ იგი უშლის სემინარიელებს ლალიაშვილთან კავშირის დაკავებას და ამხანაგობას. ვინც ცოტათი მაინც დაახლოვებით იცის სემინარიის შაგირდების გონებითი და ზნეობითი მდგომარეობა; ვინც კარგად დაჰკვირვებია, თუ რა დამღუპველი გავლენა აქვს ერთს რომელიმე ზნეობით დაცემულს პირს მრავალთა პირთ ზედა; ვინც კარგად აკვირდება, განსაკუთრებით ჩვენი სემინარიის შაკირდების მდგომარეობას, რასაკვირველია, არასფერს უჩვეულო და გასაოცებელ დასკვნას არ გამოიყვანს ლალიაშვილის სიტყვებისაგან. რამდენი სემინარიის მოწაფე არის და-[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცემულ და გონებით დამახინჯებულ პირთაგან? რამდენი შაგირდი იტანჯება მთელს თავის სიცოცხლეში საძაგელი თესლისაგან, რომელიც კაცის მტერმა დასთესა მის ნორჩ გონებაში სწავლის დროს. რა იცის საზოგადოებამ, თუ რა ხდება სემინარიაში? რა იცის მან, თუ რა საძაგელ დამღუპველ სწავლას სთესვენ მოსწავლეებში ზოგიერთი, ცუდი ყოფა-ქცევისა გამო, გამორიცხული შაგირდები და სხვა ბოროტი პირები?

ამისთანა ბოროტი პირები იმ დროსაც ბევრნი იყენენ, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით სემინარიაში. ამ ბოროტ პირების ხელთ-ნაწერი რვეულები ბიუხნერის, მოლეშოტის, ფოხტის და სხვათა ამისთანა პირთა თხზულებათაგან მოჰქონდათ სემინარიაში. სემინარიელებს აძლევდენ ამ რვეულებს და აწერინებდნენ გასავრცელებლად; ვერ წარმოიდგენთ, თუ რა გრძნობით და სიხარბით მივარდებოდენ ამ რვეულებს სემინარიელები. და რა ნაყოფი მოიტანა ამისთანა დათესილმა თესლმა? იმისთანა შაგირდებმა, რომელნიც ხუთი მანეთის ნახარჯზე ვერ მოგცემდნენ ანგარიშს, დაიწყეს მსჯელობა სახელმწიფო პოლიტიკურ ეკონომიაზე; რომელთაც ფილარეტის კატეხიზმო კარგად არ იცოდნენ; დაიწყეს მსჯელობა და დავობა სარწმუნოებაზე და ღვთის მეტყველებაზე, რომელნიც უბრალო თხოვნას სასამართლოში შესატანს ვერ დასწერდენ, დაიწყეს მსჯელობა კანონების შეცვლაზე! ამ ცუდ თესლს, ცუდ ჩაგონებას მოჰყვა ძლიერ სამწუხარო შედეგი. ზოგმა გული აიკრუა სწავლაზე, გამოვიდა სემინარიიდგან და მთელს ცხოვრებაში სატირლათ გაუხდათ თავის გულის აკრუება და სწავლის თავის დანებება. ზოგმა დაასრულა სწავლა, მაგრამ, ვაი იმ დასრულებას! მთელს ცხოვრებაში მის გულში ზღვის ღელვა იყო და დაუცხრომელი ბრძოლა ამ ცუდი თესლის წინააღმდეგ. ამისთანა პირები ბოლოს განთავისუფლდნენ სხვა-და-სხვა შთაგონებული მავნე აზრებისაგან და წყევით და კრულვით იხსენიებდენ ამ ბოროტი თესლის მთესვართა პირთა.

ესმოდა ყველა ესენი კარგად განსვენებულს რექტორს, ჩუდეცკის და ყოველივე ღონეს ხმაროობდა, რომ შაგირდები მოეშორებინა ლაღიაშვილისა და იმის მსგავსი პირებისაგან და ამითი დაეცო სემინარიის შაგირდები ზნეობითი და გონებითი დაცემისაგან. ყოველი კაცი ამაში რექტორს უნდა დახმარებოდა და ხელი შეეწყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო ის ებრძოდა ამ საქმეს, მარტო ის ცდილობდა, რომ სემინარიის მოწაფეებისათვის მოეშორებინა ამისთანა გარეწარი და ზნეობით დაცემული პირები, მარტო ის იყო მებრძოლი ველზე, მებრძოლი საშინელი მტრის წინააღმდეგ. ცხადია ყველასთვის, თუ რა ბოლო მოელის მარტო ერთად-ერთ მებრძოლს ველზე! ეს ბედი ეწია განსვენებულს რექტორსაც. ამ ბრძოლაში იმან დაასრულა თავისი სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით.

ამ ბოროტმა ავაზაკმა პირმა მოაკლო ჩვენს საზოგადოებას ერთი სასარგებლო და თავდადებული მშრომელი პირი, მოაკლო ერთი სასარგებლო პირი ახლად დაარსებულ ღვთის მშობლის სახელობაზე „ძმობას“, რომელზედაც ყველას დიდი იმედი ჰქონდა დადებული. დაობლებული „ძმობის“ რჩევა დღეს შემდეგი მწუხარებითი სიტყვებით მიიქცევა საზოგადოებისადმი:

„ყოველი დაწესებულება მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, თუ გამოუჩნდება მას ერთგული მოღვაწე, თუ ვინმე შეიყვარებს მის მიზანს, შეითვისებს მას და თავ-გამოდებით ეცდება მის მიხწევას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება არის მკვდარი, იგი არის ხე გამხმარი და უნაყოფო. ამისთვის თუ პატივსადებია კეთილი ჰაზრის გამომთქმელი, კეთილი დაწესებულობის მომგონი, არა ნაკლებ ღირებულია ამ ჰაზრის მოტრფიალე და მისი განმახორციელებელი. მართლ-მადიდებელი „ძმობის“ დედა-ჰაზრი სპეტაკი და საპატიოა. ამ საზოგადოებას ჰყვანდა კიდეც თავს-მჯდომი, რომელმაც შეიყვარა ამ დაწესებულების მიზანი და იტვირთა მისი არსებაში მოყვანა. იგი იყო ამ საზოგადოების საიმედო ჩარხი. მართლ-მადიდებელთ «ძმობა» ესე უყურებდა განსვენებულ დეკანოზს პავლე ჩუდეცკის და მაზედ ჰქონდა დამყარებული თვისი იმედი. ამ საზოგადოების დამწესებელიც ჰხედავდა ამას და გულ-დაჯერებით ჰქონდა დამყარებული თვისი იმედი და ჰქონდა მინდობილი მისთვის თვისი ჰაზრის განხორციელება. ყველა ამათ ნათელი და ტაშირი გზა ეგონათ წინ, როდესაც მოულოდნელად შეუბინდდათ მათ არე. მოულოდნელმა სიკვდილმა წარიტაცა მშრომელი იგი და ჰყო ძმობა, ვითარცა ვერძი ვერ მპოვნელი საძოვრისა (Iერემ. 1, 6). ძნელია აღდგინება ერთგულის მშრომელისა ძმობისათვისა, მსგავ-

სის განსვენებულის დეკანოზის პავლე ჩუდეცკისა. ძნელი და სამწუხარო მდგომარეობა შემდგომ მისის სიკვდილისა დამტკიცდა ეხლავე: აი ამ საძმო ფურცლების გამოსვლამ ანუ დაბეჭდვამ ასე ძალიან დაიგვიანა. ჩვენი ძმობა არის ახალი დაწესებულება და დასაბამშივე ამ დაწესებულებას ეს გულ-საწყლავი ხვედრი ერგო.“

პირველ საუკუნეებში ქრისტეს სწავლის მიმდევართა სდევნიდნენ და სტანჯვიდენ. მრავალი სისხლი დაიღვარა ქრისტიანეთა, მაგრამ დანარჩენი ქრისტიანენი სულით არ ეცემოდნენ. ისინი უმეტესად გამხნევებულნი ებრძოდნენ ქრისტეს სარწმუნოების და ზნეობითი სწავლის მტერთა. თუ დავაკვირდებით ჩვენს ეხლანდელს დროს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რაღაც პირველ საუკუნეთა მსგავსი დევნულება, რასაკვირველია, სხვა აზრით და სხვა მიზნით. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს რუსეთში და ევროპაშიაც. ყველანი, რომელთაც ქრისტე სწამთ და ეკლესია სულიერ დედათ მიჩნიათ, ვალდებულნი არიან სიმხნე გამოიჩინონ და ენერგიულად ებრძოლონ ზნეობით გამხრწნელ სწავლას, რომელიც ჩვენში შემოდის ნელ-ნელა სხვა ქვეყნებიდამ და რომელსაც მოაქვს ამისთანა სამწუხარო ნაყოფი...

მღვ. დ. დამბაშიძე.

სასიამოვნო მოვლენა.

წარსულ ივლისის თთვის 26 რიცხვს ჩვენი თანამდებობისამებრ ჩვენ ვიყავით სოფელს ლახუნდარაში, რომელიც შორაპნის მაზრაშია. ეკლესია ს. ლახუნდარისა წინედ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო, იგი სრულებით არ გავდა ეკლესიას. დღეს ახალი მღვდლის მეცადინეობით და თაოსნობით ეს ეკლესია მშვენიერად არის მოწყობილი; აკლია მარტო ხატები და იმედია, რომ მალე მოიპოვებენ ამასაც. ეკლესიის ეზოშივე მღვდელს პორფირე ქავილაძეს თავის ხარჯით აღუშენებია კარგი ხის სახლი სამრევლო სკოლისათვის, მოუპოვებია ყველა საჭირო სკოლის ნივთები, მოუწვევია მასწავლებლად ერთი ოთხ-კლასიანი ყმაწვილი დ. ქვიჭინაძე, შეუკრებია ბლომად შეგირდები და ასწავლის მათ აგერ ორი წელიწადი გადის.

ქვირა დღე იყო, როდესაც ეკლესიაზე მივედით. დარეკისა თანავე შაგირდები შეიკრიბენ ეკლესიაზე, წირვის დაწყებამდე მე გამოვსცადე ათიოდე შაგირდი და დიდათ ვისიამოვნე მათის ცოდნით. წირვის დაწყების დროს მასწავლებელმა ქვიჭინაძემ მთხოვა, რომ შაგირდებს რუსულად ვაგალობებო. რადგან ქართული მგალობლები არ იყვნენ, მივეცი ნება. შაგირდებმა თავის მასწავლებლის ლოტბარობით და სოფლის პრიჩეტნიკის ი. ყანჩაველის დახმარებით იგალობეს მთელი წირვის წესი ჩინებულად; მღვდლის ხმა ქართულად და მგალობლების ჩინებულად შეწყობილი იყო. ამისთანა კარგი გაწყობილი წირვა-ლოცვა არის იმისი მიზეზი რომ ამ ეკლესიაში ხალხი ყოველთვის ბლომად დაიარება, ვინემ სხვა სოფლის ეკლესიებში.

ამ სოფელში დიდ ხანს იყო სახალხო სკოლა, მაგრამ ვერ იხეირა და კარგი ხანია, რაც დაიხურა. ლახუნდარის სოფლის მღვდელი არც ერთს სასწავლებელში არ ყოფილა, მაგრამ თავისი მეცადინეობით მოუხერხებია ყველა ესენი. ნივთიერი მდგომარეობითაც იგი მდიდართავანი სრულებით არ არის. ტყვილს კი არ ამბობენ, რომ თუ კაცს თავისი მოვალეობა მტკიცეთ უპყრია და სიყვარულობით ეკიდება მის ასრულებას, მისი დაბრკოლება არც სილარიბეს და არც სხვა რამეს შეუძლიაო. ბეჯითობა და სიყვარული საქმისა ყველაფერს დასძლევს.

ბოლითად მადლობას უცხადებთ მღვდელს პორფირე ქავილაძეს და მასწავლებელს დავით ქვიჭინაძეს მათი საქები ქცევისათვის და ვისურვებთ, რომ სხვათაც წაბაძონ მათ საქებურ ქცევას.

შორაპნის მაზრის საეკლესიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველი ბლაღოჩინი მღვ. დ. დამბაშიძე.

პეტრეპავლობის დღესასწაულობა მარტვილში.

მცხეთის, სიონის, ბელათის, მარტვილის და პიჭვინდის ტაძრები დასტოვეს ჩვენს ქვეყანაში წარსულ საუკუნეთა მტკიცე და დიდებული სარწმუნოების მოწმედ; ისინი ხუთივე ისე ამშვენებენ საქართველოის მართლმადიდებელს ეკლესიას, როგორც ხუთი კეკლუცი და დიდებული გუმბათი დიდებულს ბელათის მონასტერს. იგი იყვნენ ზნეობითი ნავთ საყუდელნი (თუ კი ასე

შეიძლება სთქვას კაცმა), სარწმუნოების, ეროვნების და მამულისათვის მრავალ-ტანჯულ ქართველთა ცხოვრების ზღვაში: ამათ წიაღში ჰპოებდა განსვენებას ყოველი მაშვრალი და ტვირთ მძიმე ქართველი; აქ ინახებოდა ნივთიერი და გონებრივი საუნჯე ჩვენი სარწმუნოებისა; ყოველ მართლ-მორწმუნეს, რომელსაც ისლამის მიერ მიყენებული ტანჯვა და განსაცდელი და მაჰმადის რხმალი და ცეცხლი შეიპყრობდენ, ამ საიმედო ბურჯთათვის უნდა მიეპყრო თვალი, სული და გული, მათგან მოელოდა იგი გამოხსნას და შველას ისე, როგორც ყოველი დამნაშავე ებრაელი ცხოვრების რქისაგან (рогъ спасенія). ბანვლეს საუკუნოებმა, ხალხთა ცხოვრებაც იცვალა, მისი გული და რწმენაც შედრკა, შეფერხდა. ალარ ემჩნევა მის მორწმუნეობას ის შინაგანი სითბო, რომელიც აცხოველებს ღვთის მოყვარეობას და სარწმუნოებას, მაგრამ ხსენებულს ტაძრებს ისეთი პატივდების შთაბეჭდილება დაუტოვებია ძველთაგან ერის გულში, რომ წალკოტითაც ვერ ამოაგდებ. ეგებ გარეგნობით სრულდებოდეს ხსენებულ ტაძართა პატივისცემა, მაგრამ წელიწადში რომ ერთჯერ ხალხი არ შეიკრიბოს მათ კალთაში თაყვანის საცემლად, არ შეიძლება. ვისურვოთ, რომ გარეგნობითს პატივის ცემას შინაგანი გულის სითბოც მიჰყოლოდეს. ამ დასკვნაზე ფიგვიყვანა მარტვილში პეტრე-პავლობის დღესასწაულმა, რომელსაც მეგრელები «პერტობას» ეძახიან; მან მოგვაგონა ღვთის მშობლობა ბელათში, მოწამეთობა მოწამეთას და მცხეთობა სვეტიცხოველის ტაძრისა. ბელათს და მოწამეთას თუ მთელი ქუთაისი და შუა იმერეთი იკრიბება, მცხეთას თუ მთელი თბილისი და ქართლი აწყდება, — მარტვილი მთელი სამეგრელოს ყოველი კუთხიდამ მოელის ამ დღეს კრძალვა-მოწიწებით მომავალს სტუმარს. ყოველი მეგრელი შეჰხარის ამ დღესასწაულს. ვინც მოახერხებს წასვლას, გახარებულია, ვინც არა, სწუხს; მეტადრე ქალები თუ დარჩნენ, თვალ-ცრემლიანნი სხედან სახლში და ქრმებს «ეჯულურებიან».

ხვალ პეტრეპავლობაა, ამ საღამოს ცხენ-უნაგრის ხაზირია გლეხთა და, განსაკუთრებით, თავად-აზნაურთ ოჯახებში. ქალები ფათურობენ, არაფერს არ ზოგვენ, რაც კი ხვალ მათ გამოაჩენს; ბუნებითს სილამაზეს უნდათ ხელოვნურიც დასძინონ. ქარგი მობურთალი მკლავებს იზილავს, რომ ხვალ თავ-განწირულს ბურთაობაში არ დამარცხდეს, თავის ამქარიც ასახელოს და თვისი ბიჭობაც იჩინოს; თუმცა ჩხუბის შიში თან და თან ეპარება გულში; მას კარგად ახსოვს, რომ ძვირად გათავებულა ბურთაობა ისე ან ხაინდრავა, ან დანელია მსხვერპლად არ შეწირულიყოს, იცის, რომ ყოველს პეტრე-პავლობას ამ ორ გვართა შორის ასტყდება «ბურთის ქიშპი». ბათენდა პეტრეპავლობა. ცა მოსარკულა, მხოლოდ აქა-იქ „ეკის გოლას“, ნაქალაქევის წვერებს და თვით მარტვილის ბრეკს თხელი ნისლის ლეჩაქი ეფარება, მზემ «თოხის ტარზე» წამოიწია და სხივები ნისლებში შეისროლა, ნისლებმა ფერი იცვალეს: რაღაც ოქრო ქსოვილი და ნაწნავ ბანდღად გადიქცენ; მშვენიერი დარია, არც ცივა, არც ცხელა. ტეხურის ხეობას დიდი შარა შესდევს; მას ორ მხრივ სოფლები აჰყოლიან. ყოველი სოფლიდამ მოჰქრიან ცხენოსანი ქალი და ვაჟი; აი სოფლის გზა გამოვიდა ტეის შუკიდამ: გამოჰყო თეთრი ლეჩაქით მორთულმა ქალმა თავი, იგი ფეხ-მარდს ლაფშაზე კოხტად და კეკლუცად ზის და კიდევაც ყოყოჩობს, ვითომ და მასზე უკეთ მთელს საქართველოში ქალი ვერ იცხენოსნებს. მართალია, არა სტყუა, ნება აქვს იყოყოჩოს.

მეგრელის ქალს სხვა კუთხის ქალი ცხენოსნობაში ვერ შეედრება. მას ქმარი, ან ვინმე ნათესავი ახლავს და „კავალეროს“. ბამოვიდნენ შარაზე. შარა ცხენოსან ქალ-ვაჟთა რაზმით აივსო; ყველა მარტვილის ტაძარს მისჩერებია, მაგრამ იგი არ მოჩანს; გარს ნისლი ახვევია; მხოლოდ პირველი გუმბათის ჯვარი ლაპლაპებს. მიადგნენ აბაშას. ბალმა გავლენ და მარტვილს ციცაბოს უნდა შეუდგნენ, არის მეორე გზა საფეტონე, მაგრამ საცხენოსნო უფრო ახლოა, ზარს შემოჰკრეს. მიმავალთ ერთბაშად პირჯვარი გამოისახეს. მოგროვდა აუარება ჯვარი ეკლესიის გალავანში. ტაძარს და მთელს გორას ნისლი მოშორდა; გამოჩნდა მშვენიერი სურათი. ყოველი კაცი თითის-ტარიევით ტრიალებს, უნდა, რომ ერთბაშად დაინახოს ყოველი მხრიდამ არე-მარე, მაგრამ ეგ ძნელია, რადგანაც კაცს მხოლოდ წინ აბია ორი თვალი; ვინატრე კი, ღვთის წინაშე, ნეტამც ორიოდე თვალი უკანც მქონდეს მეთქი, რომ ეს მშვენიერი სურათი ერთბაშად მიმოვიარო გონებითთქო. სდგეხარ ვიწრო და მაღალს გორაზე, რომელზედაც ტაძარი და მისი გალავანი მერცხლის ბუდესავით ძლივს ეტევა და დასცქერი თვალ უწვდენელს ვაკეს, რომელზედაც დინჯად, მიკეც-მოკეცვით მიიხლართვიან რიონი, ცხენის წყალი, ტეხური და აბაშა მწვანედ მობიბინე ტყე-ველებში და სამორედო სიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით დაფენილს ჭალებში. ამ ოთხმდინარეთა ხეობანი ისე მოჩანან, როგორც ხელის გულზე. ჩრდილოალმოსავლეთით წამოყუდებულან ხომლი, მწიშვა და ნაქერალა, თითქო ჩრდილოეთის ქარისაგან ამ მშვენიერს სამოთხის კუთხეს იფარავენ; სამხრეთით ახალციხის მთები გაწოლილან და აი, მაგ შავი ზღვის ყურეს აწყდებიან, დასავლეთით შავი ზღვის პირი მწვანე ხაევრდივით მოჩანს თვალის მისაწვერზე, შენს ფეხ-ქვეშ პაწია დაბა ნაოლალევია, რომელიც თითქო ხეივანში ჩაფლულაო; აქვე მთაგორიანს სამეგრელოში, იქით საითაც აბაშის წყალ-ვარდნილი ქმუის, გზატკეცილი მიიმართება, გზის პირად «რუსთა ნაბანაკარზე» ორი დიდი ცაცხვი სდგას; ისინი სამეგრელოში პირველად შამოსულს რუსის ჯარს დაურგავს. ჰხედავ დიდსა და პატარა სოფლებს, საიდამაც სოფლის ეკლესიები გამოკიანთობენ, თითქო ყველანი თავის დედა-ტაძარს შესცქერიან და ამისგან გონებითსა და ზნეობითს საზრდოს მოელიან. უნდა ვალვიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ადგილთა სურათების კოლექციაში მარტვილის არე-მარეს სურათი პირველს ალაგს დაიჭერს გარეგნობით. მისურვოთ, რომ მისს ზნეობითი სურათსაც არა ნაკლები ალაგი რგებოდეს სურათთა სიაში; ამ სურვილს მით უფრო ველტვით, რომ დღეს მარტვილს საკუთარი თვით-მყობადი მმართველი ჰყავს.

დავატკბეთ თვალი მშვენიერი ბუნების ნახვით, ახლა ზარმა მოუხშირა, წირვას იწყებენ: სული უნდა დავატკბოთ. ტაძარში ტევა ალარ არის, სუნთქვა სჭირს: გახდა ერთს მანდილოსანს „შხერთა“ ტაძრის იატაკზე, წყალს აჰვლებენ. აგერ ბატონი ქორიძე მოსულა, თავისი ქართული ხორა მოუყვანია. ყველასაგან ყურადღება მან მიიქცია. მთელი წირვის წესი ნოტებზე იგალობეს. მეორე მხარეზე გალობენ ზებირ მგალობელნი. ბარაქელა უნდა უთხრათ ბატონს ქორიძეს, რომ მან ქართული გალობის კილო სრულიად დაიცო და არტისტულად გაამშვენიერა. საბედნიეროდ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ჩვენი გალობის აღდგინებას თავიდამვე არტისტმა და ნიჭიერმა ლოტბარმა მოჰკიდა ხელი და ნიჭიერი და კეთილხმოვანი თანამშრომელნი (ბალანჩივაძე და წერეთელი) მიიღო ხორის მგალობლად. წირვა გათავდა, ყოველად სამღვდელომ ბურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა გრიგოლმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც თვალსაჩინოდ დახატა ქრისტეს მოწაფეთა და განსაკუთრებით პაველეს და პეტრეს მოღვაწეობა ქრისტეს სწავლის გავრცელებისთვის. სიტყვა დაამბოლავა მოსწრებული და დროის შესაფერი ჰაზრით, რომ მთელმა საზოგადოებამ უნდა იხრუნოს დროთა-ვითარების გამო დალარიბებული ტაძრის გასამშვენიერებლადო. დიალაც, დავსძენთ ჩვენის მხრით, რომ ძვირფასი საუნჯე ძვირფასს კიდობანში უნდა გქონდეს ძაცს. უძვირფასესის და გულით საყვარელი კაცის სურათს ძვირფასს არშიას შამოაველობენ, ძვირფასს ჩარჩოში ჩასმენ. ამოდენი ხალხის და საზოგადოების კრება თუ გულით მოსულა დღეს პეტრე და პავლეს პატივ საცემლად, ნუ დაიფარებენ თვალზე ხელს და დარწმუნდენ, რომ ამათი სადგური მათთვის შეუფერებელია. სენაკი ცარიელია, სახლები დანგრეული და ზოგიერთა გამოქნილი კაცების პარტიობის მეოხებით გადამწვარი და დაღრღნილი. მეკრელმა სთქვა: ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ღმერთო იმას ნურც ჩემს სიბერეს აჩვენებო. მისი არ იყოს, მარტვილის ტაძარს რომ ენა მისცა სალაპარაკოდ, სწორედ ამასვე იტყოდა; მაგრამ რაღა თქმა უნდა, თვით მისი აოხრებული კარ-მიდამო გვაუწყებს მჭევრ-მეტყველურად მის მოხუცებულობას და გაბელატებას. იგი ობლად სდგას და თითქო იძახის: აი, ახალი მზრუნველი მომიყიდა, რომელიც ჩემს ფრთეთა ქვეშე დააბრუნებს მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა, რათა მათ ძველებურად განსვენება ჰპოვონო. მართლაც ყოვლად სამღვდელო ბევრს საშუალებას ხმარობს მისი გარეგანი გაუმჯობესობისათვის. მან სთხოვა სამეგრელოის თავადს, უგანათლებულესს ნიკო დავითის ძეს შემწეობა, რომელმანც 1000 მანეთი უბოძა, ამასთანავე გამოსცა კონდაკი შეწირულობის მოსაკრებად.

ყოველად სამღვდელოს სადილად მრავალი საპატიო სამღვდელოება და საერო პირები ჰყავდა მიწვეული. პირველად დალიეს ექსარხოსის პავლეს სადღეგრძელო, მერმე იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის და ქახეთის ბესარიონის. თითოეული მათგანისათვის ისურვეს კეთილ-დღეობა, ჯანის სიმრთელე და ჩვენი მართლ-მადიდებელი ერისათვის მოღვაწეობა, მექვემორე ამის ხელის მომწერელი ვისურვებ, რომ ყველა ჩვენი მწყემსთ-მთავრები იყვნენ ბედნიერნი ერთ არს, რათა ერთობით აღვიარებდენ ჩვენი ერის ზნეობა-გონების გასაუმჯობესებელს კატეხიზმოს.

საღამოს მოველოდით ბურთსა და ჯირითს ნაოლალევის ფართო მოედანზე; მაგრამ, ჩვეულების წინააღმდეგ, ვერც ერთი ვნახეთ, ვერც მეორე; მიზეზი იყო ერთის მხრით ცოტაოდენი ავდარი და მეორეს მხრით და უმეტესადაც ჩხუბის შიში.

მეორე დღეს აქაური აზნაურები გვყავდა მოწვეული მაზრის უმფროსის ბატონი ბებურიშვილის განკარგულებით სენაკის სათავად აზნაურო სასწავლებლის შესახებ. ბატონმა ბებურიშვილმა ვრცელი სიტყვით მიმართა აქაურ კეთილ-შობილთ სწავლის საჭიროებაზე, მეც ჩემი სიტყვა მოვახსენე მათ ამავე საგანზე. რა შედეგი მოჰყვა ორივეს რჩევას, ამაზე მერე მოვილაპარაკებთ, თუ დრო გვექნა.

მე მქონდა შემთხვევა თითქმის ყველა საუკეთესო მონასტრების წარმომადგენელთა ნახვისა. მინდოდა მათთან საუბარი გამემართა თუ ხალხის სარწმუნოებისადმი გულის სითბო-სიცივეზე, თუ სწავლისადმი სურვილზე. სარწმუნოების შესახებ ახლა უდროო იყო ლაპარაკი და მკოლაზე კი უადგილო, რადგანაც სკოლის ხსენებაც არ არის არც ერთს იმერეთის მონასტერში. ღმერთმანი, საკვირველია, ასეთი თავმინებება საკეთილო საქმისა. ნუ თუ ჩვენმა სულიერმა ძმებმა ველარ გაიგეს, რომ ხალხს ახლანდელს დროში იზიდავს სწავლა, ხალხი მასა სცემს პატივს, მისი სჯერა და მას ესასოება, ვისგანაც სწავლას გამოელის. ათასი წლის წინეთ ყოფილმა სამღვდელოებამაც კარგად იცოდა ეგ და ამისათვის იგი ყოველს ახლად მონათლულს „მრწამთან“ ანბანსაც მიაწოდებდა ხოლმე. სწორედ რომ ამის გამო ჰქონდა დიდი გავლენა ადრინდელს სამღვდელოებას ხალხზე. დიაღ, დროის მოთხოვნილებას თუ არ აჰყვა ჩვენი სამღვდელოება, ვერც ხალხის გულს მოიგებს იგი.

ს. ყიფიანი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ხარკოვში მაღალ ყოვლად სამღვდელო არქიეპისკოპოსის ამვროსის თავს-მჯდომარეობით იყო დაარსებული განსაკუთრებითი კომმისია, რომელსაც ვალად ჰქონდა დადებული, რომ მოესპო მღვდელთაგან ნამეტანი ფულის გამორთმევა სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედების აღსრულებისათვის. ამ კომმისიამ, სხვათა შორის, დაადგინა, რომ წირვა სრულდებოდეს ერთ შტატიან ეკკლესიებში როგორც ქალაქებში ისე სოფლებში კვირაში ოთხჯერ: კვირას, შაბათს, პარასკევს და ოთხშაბათს, ხოლო ქალაქის საკრებულო და სხვა ქალაქის რამდენიმე შტატის ეკკლესიებში—ყოველ დღე. ამასთან ვალად დაუდგინა ყველა კრებულს, რომ მრევლთაგან «ხელში მიცემა» საჩუქრისა მღვდელ მოქმედებისთვის მოსპონ. ამის წილ ვალად დაუდგინა კრებულთა, რომ ნაჩუქარი ფულები საკრებულო წიგნში ჩასწერონ მჩუქებლების შესატყობლად, რომ ამით მოისპოს გაუთავებელი საჩივრები ნამეტანი ფულის გარდახდევინებაზე.

***

ხარკოვის გუბერნიის ერთი ქალაქის სუმის მცხოვრებელს სტატსკი სოვეტნიკს ივანე ხარიტონენკოს სამაგალითო საეკკლესიო სამრევლო სკოლის სახლის ასაშენებლად ხარკოვის სემინარიასთან თხუთმეტი ათასი მანეთი შეუწირავს. ხელმწიფე იმპერატორმა, როდესაც ეს მოახსენეს, თავის ხელით კეთილინება დაწერა: „ფრიად სანუგეშოა“, და მადლობა გამოუცხადა.

***

თბილისის სასულიერო სემინარიას რექტორად გადმოიყვანეს პიტებსკის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პაისი.

***

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ სინოდალური კანტორის მდივანს, (სეკრეტარს) ბ. ივანე ზერმოგენის ძეს სიმონოვს თავი დაუნებებია მდივნობისათვის ოჯახისა და ავათ-მყოფობის გარემოებათა გამო. ცხრამეტი წელიწადია, რაც ბ. სიმონოვი ჩვენს სინოდის კანტორაში მდივნათ ემსახურება. იშვიათად ნახავთ მდივანს, რომ საზოგადოების მხრით იმისთანა სიყვარულობა დაემსახურებინოს, როგორც ბ. სიმონოვმა დაიმსახურა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილებას აცხადებენ მოსამსახურეზე; თუ ეს მოსამსახურე რუსთაგანია, ის მაშინვე თავის გასამართლებლად იმას უჩვენებს, რომ ის რუსის თემთაგანია და მიტომ არიან მასზე უკმაყოფილონი და მართლადაც ზოგიერთები კიდეც უჯერიან ამისთანა პირებს. ეს უსაფუძვლო და უადგილო თავის გამართლება არის: ბ. სიმონოვი თუმცა რუსთაგანი იყო, მაგრამ იმას უმეტესად პატივს სცემდენ და ის უმეტესად უყვარდათ, ვინემ სხვა ქართველი ამავე თანამდებობაზე. არ შეიძლება კაცი არ შეიყვარონ, როდესაც მასში ხედავენ პატიოსანი კაცის ხასიათს და თვისებებს.

***

ამიერ კავკასიის რკინის-გზის მმართველობას, როგორც „ივერია“ გვაუწყებს, განუზრახავს ისეთი ეკკლესია გააკეთოს სადმე ლიანდაგს ახლო, რომელიც ადგილიდგან ადგილას ადვილად გადაიტანონ. ბაზეთი „ასპის“ სიტყვით, ეკკლესიის მოწყობილობისათვისა და საჭირონივთეულობის საყიდლად 1,000 მანათი აქვს გადადებული მართველობასაო; ამდენივე ფული ჰქონიათ გადადებული ეკკლესიის კრებულის შესანახავადაც.

***

წინა ნომერში ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს ერთს ახალ მოსულს ექიმზე შორაპნის მაზრაში. თვითონ ეს კაცი პიროობით იყვანს ავათ-მყოფებს და საექიმო ფულს ნახევარს წინათვე თხოულობს. ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ეს კაცი ყოფილა რუსი, ნაოფიცარალი და ექიმობის სრულებით არა სცოდნია რა. ამ კაცის დაწვრილებით ბიოგრაფიას შემდეგ ნომერში დაბეჭდავთ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ჯეთილ-ზნეობაზედ.

მოძღვრება წმიდა და დიდ-მარხვაზედ.

«სინანულისა კარი განმიღე მე ცხოვრების მომცემელო».

მომილოცამს, კეთილ-მსმენელნო და ქრისტეს მოყვარენო ერნო, წმიდა დიდი მარხვა ესე,—მარხვა სინანულისა, მარხვა სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა, მარხვა განუწყვეტელი მხურვალე ლოცვისა და ვედრებისა, მარხვა სულიერად განახლებისა და ზნეობითად განძლიერებისა. ყოველ კაცის ბუნებაში, ძმანო, სხვათა შორის, ერთი დიდად სანუკვეშებელი და წმიდა მოთხოვნილებაა. ეს ის მოთხოვნილებაა, ქრისტეს მორწმუნენო ერნო, რომელმანცა უძღები შვილი, შემდგომ მრავალთა მისთა ცოდვათა და უსჯულოებათა, მაინც ბოლოს ისევ მიიყვანა მამისადმი სინანულით; ეს ის მოთხოვნილებაა, ბევრად თუ ცოტად, განუქრობელი ჩვენში, რომელიც კაცს, რაც უნდა იგი ღრმათ ჩავარდნილი იყვეს ბოროტებაში, მაინც ბოლოს კვალად ულვიძებს სურვილს განახლებისას და გარდახალისებისას, ულებს სინანულის კარს, რომლიდგანაც მას შეუძლიან გამოვიდეს კვალად „ძედ სინანულისა და მემკვიდრედ საუკუნეთა და დაუსრულებელთა საუნჯეთა;“ ეს მოთხოვნილება იმაში მდგომარეობს, რომ კაცის სული საქაო სოფლის ხორციელ ვნებათაგან დატვირთული, საქაო ამაოებათაგან დაღლილი და დაქანცული, ეძიებს შვებასა, განსვენებასა და სულის მშვიდობასა მხურვალე ლოცვაში, ყოველ თავის აზრთა და გრძნობათა მიმართვაში იმ უზენაესს არსებისაკენ, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ზეციერ და მრავალ მოწყალე და სულ გრძელ მამად, ეძიებს და ილტვის განიშოროს თვისგან ყოველივე ხორციელი ზრუნვა ხორციელ საგნებზედ და მიმართოს თავის აზრი და გრძნობა ზეციერ საგნებზედ. ეს მოთხოვნილება სულის აღფთოვანებისა და ხორციელი საგნებისგან განდგომილებისა ყოველივე კაცის ბუნებაშია, ძმანო; მაგრამ განრჩევა იმაშია, რომ ზოგს ეს მოთხოვნილება თითქმის ყოველ დღიურ მოთხოვნილებათ გარდაუქცევია თავის სიცოცხლეში, ზოგთათვის კი, სამწუხაროდ, იგი ასე ხშირი საგრძნობელი არ არის და მათი ყოველივე მიმართულება, ღვაწლი და შრომა, ბევრად თუ ცოტად, ხშირად თუ თითქმის სამუდამოთ, დაკავებული აქვსთ ხორციელ საგანთ და საქაო ვნებათა; იგინი უფრო ბევრს ემსახურებიან მამმონას, ვინემ ღმერთს, და აქედგან წარმოსდგება ის სამწუხარო მაგალითები, რომ მათთვის სულის მშვიდობა ყოველთვის დაკარგულია ამ საგნების სამსახურის უზომო გატაცებით. მათთვის, ბევრად თუ ცოტად, უცნობია ის ზეციერი, ენით გამოუთქმელი სიამოვნება, რომელსაც კაცი გრძნობს, როდესაც იგი ყოველ ზრუნვას სახორციელოზედ დროებით ივიწყებს და მიეცემა ხოლმე სულით და გულით მხურვალე ლოცვას და ვედრებას და ჰპოვებს მასში იმისთანა ნუგეშინის ცემას, იმისთანა სულის შვებას, რომელიც შეუდარებლად უაღრესია ყოველ გვარ სიმდიდრეზე, თუ სხვა გარეგანი წყაროდგან მოპოებულ სიამოვნებაზედ და უუფუნებაზედ. ეს მიტომ, ძმანო, რომ სულის ღირსება შეუდარებლად მაღლა სდგას ხორციელ საგნებზედ. მოიგონეთ, ძმანო, ვისი სახეა სული, რომელიც გვიდგია და კიდევ რისგან არის შედგენილი ჩვენი ხორცი. მაგრამ ბევრს ჩვენგანს ავიწყდება ეს და ღვთის სახე უკვდავ სულს მსხვერპლათ უხდის მომაკვდავ, მიწიდგან შემდგარს და მიწადვე მისაქცევ ხორცს. მოიგონეთ, კეთილ მორწმუნენო, მაცხოვრის სიტყვები:—«ეძიებდით პირველად და უმეტესად სასუფეველსა ღვთისასო და სხვა ყოველივე, რაიცა საჭიროა თქვენის ცხოვრებისათვის, მოგეცემათ ადვილად და უშფოთველადაო. მოიგონეთ მაგალითი სოლომონ ბრძნისა, რომელმანცა ყველა ხორციელზედ მეტად ყოველივე საქაო სოფლის სიამოვნება გამოიარა, მაგრამ მაინც ამ სიამოვნებამ იგი ვერ დააკმაყოფილა და საქვეყნოდ აღვიარა, რომ ეს ყველაფერი ამაოა ამაოებათაო. მოიგო-

ნეთ, მეორეს მხრით, იმ წმინდანთა ცხოვრება, რომელთაც ქვეყანაზედ არა რაი ებადათ რა სულისა და ხორცის მეტი, მაგრამ მაინც მათთვის უკმაყოფილება უცნობი საგანი იყო. ეს მაგალითებიც, ძმანო,— სხვებიც რომ არ მოვიყვანოთ,— ცხადათ ამტკიცებენ აღვიარებულს ჩვენგან კაცის ბუნების იმ თვისებათა, რომელიც კაცს აძებნინებს დაკმაყოფილებას არა ხორციელ საგნებში, არა სააქაო ზრუნვაში, შფოთვაში და დაუცხრომელ ბრძოლაში, არამედ ყველა ამათგან განდეგილებაში, ყველა ამათ უარის ყოფაში იმდენათ, რასაკვირველია, რამდენადაც ეს უარყოფა პირ-და-პირ არ ავნებს ჩვენ სიცოცხლეს. უკეთესი იქნება, რასაკვირველია, ძმანო, რომ ეს თვისება ჩვენი ბუნებისა, რომელზედაც არის დაფუძნებული ზემოთ მოყვანილი მაცხოვრის მცნებაც, ყოველთვის, ყოველ დღე და ყოველ საათს გვახსოვდეს და დაცული გვქონდეს ღრმათ გულში, მაგრამ უმეტესად ამ მცნების აღსრულებას ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესია, რომელიც ჩვენთვის და ჩვენის ცხოვრებისათვის ზრუნავს, ვითარცა ყოვლად მოსიყვარულე დედა თვისთა შვილთათვის, ითხოვს ამ წმიდა დიდ-მარხვაში. ეს მარხვა მან დააწესა მისთვის, რომ ხორციელ ღელვათა და ტანჯვათაგან დამძიმებული ჩვენ მივეცნეთ ამ დროს განდეგილ ლოცვას, სიწმიდით ცხოვრებას, როგორც სულიერად, ისრე ხორციელად, მივეცნეთ მხურვალე სინანულს ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთასა. როგორც სხეული ჩვენი განიბანვის მხოლოდ წყლით, ეგრეთვე ჩვენი სული სიბილწეთა და მწიკლოვანებათაგან განიწმიდვის მხოლოდ მხურვალე ცრემლის ემბაზში, მოგვშორდება ცოდვათა სიმძიმე და ტვირთი ენებათა მხოლოდ წმიდა ლოცვაში და ვედრებაში. ამ მარხვის დანიშნულება, ძმანო, ის არს, რომ დაუტევოთ რა სახორციელო საქმე, შეუდგეთ სულის საქმესა, მოვიგონოთ და თვალ-წინ წამოვიყენოთ ყოველივე ჩვენი ნამოქმედი, ნაფიქრი, ნაგრძნობი წარსულ ჩვენს ცხოვრებაში, და თუ ყველა ამაში აღმოჩნდება რამე, რაიცა არ ეთანხმება ნებასა ღვთისასა, გულ-წრფელად, სიღრმიდგან გულისა ზევინანოთ წინაშე მრავალ-მოწყალისა მეუფისა, ცრემლით, ვედრებით და სიმდაბლით, შევთხოვოთ ჩვენ ზეციერ მამას ყოველივე ჩვენი ცოდვის აღხოცვა, და მასთან დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ იგი «შეგვიწყალებს და გვაცხოვნებს ჩვენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთ-მოყვარე».

. მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, ქრისტიანენო, რომ ჩვენი ზეციერი მამა თუმცა ყოვლად მოწყალე და ყოვლად შემბრალეა, მაგრამ მასთანვე იგი მართლ-მსაჯული და სამართლიანიც არის: იგი გვაპატიებს ცოდვათა ჩვენთა, იგი შეგვიბრალებს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენც ჩვენის მხრით ესრეთივე სიყვარულით მოვექცევით „თანამდებთა მათ ჩვენთა.“ მაცხოვარმა და ღვთაებრივმა მოძღვარმა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ ეს მცნება დაგვიდო უპირველეს პირობათ ჩვენი ცოდვის პატიებისა; მან პირ-და-პირ გვიბრძანა: „უკეთუ მიუტეოთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან, და უკეთუ არა მიუტეოთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, ეგრეთვე არცა მამამან თქვენმა მოგიტევნეს შეცოდებანი თქვენი» (მათ. 6, 14).

აი, ძმანო, პირ-და-პირი საღმრთო სიტყვები ჩვენი მაცხოვრისა. ნურავინ იფიქრებს დანურავინ გაივლებს გულში იმ ჰაზრს, რომ მან მიიღოს შენდობა ღვთისაგან,—რაც უნდა მხურვალე ცრემლით და გულით ევედროს,—თუ მისი გული არ არის სავსე ყოველთადმი სიყვარულით, თუ მას აქვს რაიმე სიძულილი მოყვასისადმი. როგორც ძველი აღთქმის სჯული, ისრე ახლისა აღშენებულია, ძმანო, ერთ ძირეულ მცნებაზედ. ეს მცნება გვიბრძანებს: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.“ და თუ რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველთვის და ყოველ დროს თვალ-წინ გვედგას ეს მცნება და ვცდილობდეთ მათს აღსრულებას, მით უმეტეს, მისი შესრულება უნდა იყვეს უპირველეს ჩვენ ლტოლვილებათ, უპირველესი ჩვენი მეცადინეობის საგნათ ამ წმიდა მარხვაში, როგორც განსაკუთრებით სინანულის დროს.

დაუტევოთ, ძმანო, ერთი ერთმანეთის სიძულილი, შეურიგდეთ ერთმანეთს და გულ-წრფელად ვაპატიოთ ურთი-ერთს შეცოდება, როგორც შვენის ძმათა ერთისა ზეციერისა მამისასა, და ყველანი მივისწრაფოდეთ განუწყვეტლად ღვთის ტაძარში და იქ გულ-მხურვალედ და ცრემლით ვითხოვდეთ ღვთისაგანაც ამ გვარსავე ჩვენი შეცოდების პატიებას. მხოლო ლოცვა ჩვენი, ქრისტიანენო, ღვთისა ტაძარში ნუ ემზგავსების ამპარტავანი და პირ-მოთნე ფარისეველის ლოცვას; არამედ ვილოცვიდეთ სიმდაბლით და გულ-წრფელად, ვითარცა მეზვერე და ვიტ-

ყოფით სიღრმიდგან გულისა ლოცვასა ამას: ღმერთო, მიღხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე უფა-ლო».

ესრეთ, დაუტევოთ, ძმანო, ამ წმიდა მარხვაში ყოველივე „ხორციელი“ და მივსცეთ, განსაკუთრე-ბით უფლება ყოველსავე „სულიერსა“, დაუტევოთ არა მარტო სახორცე საქმელი, არამედ ყოველი სი-ლაღე ხორცისა, დავიმორჩილოთ ყოველივე ხორ-ციელნი ვნებანი, რათა იგინი არა უფლებდნენ ჩვენ-ზედა. განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენი მიქცეულ იყვეს ჩვენთა ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთა შენანებაზედ და ვევედრნეთ უფალსა, რათა «არა შეგვიყვანოს კვალად განსაცდელსა, არამედ გვიხსნას ჩვენ ყოვლისაგან ბოროტისა», აგვაშოროს სულსა უქმობისასა და ცუდათ მეტყველებისასა; ხოლო მოგვ-ცეს სული წმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა; შემწე გვექმნას ჩვენ, რათა განაგრძე-ლოს კარი სინანულისა, რათა თვალ-წინ გვედგას ჩვენ მარტოდ ჩვენი საკუთარი ცოდვა, და არა მო-ვეცნეთ განკითხვასა მას ძმისა ჩვენისა.

და ესრეთ განწმენდილი სულით და ხორცით, დამშვიდებულის სინიდისით ვეღირსნეთ ზიარებასა მას «უკვდავთა, ცხოველს მყოფელთა და ყოვლად წმი-დათა ქრისტეს საიდუმლოთა ცხოვრებად საუკუნოდ.» ამინ!

სინოდალნი კანტორის წევრი არქიმანდრიტი მაკარი.

საუბარი

მოძღვრისა თავის მრევლთან, თქმული 11-ს ივლისსამა 1886 წ. ქუთ. მთავ. ანგ. სობოროში,

(შურზედ).

ძმანო და დანო ჩემნო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! წმიდა მოციქული და მახარებელი მა-თე აი რას მოგვითხრობს თავის სახარებაში:

> „და დაუკვირდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ვითარმედ არა სადა ისრა-ილსა შორის ესრეთ გამოჩნდა; ხო-ლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავრი-თა ეშმაკთათა განასხამს ეშმაკთა.“ (მათ. 9, 33—34).

ერთი და იგივე მოქმედება წარმოადგენს სხვა-და-სხვა ნაირ და ამასთანავე სრულიად წინააღმდეგთა შთაბეჭდილებათა. იესო ქრისტეს მიერ მომხდარნი სასწაულნი ზოგს აკვირვებენ, აცვიფრებენ და აღ-ტაცებაში მოჰყავთ; ზოგიერთებში კი გამოიწვევენ შურსა და ცილის-წამებასა.

წმიდა სახარება, სხვათა შორის, მოგვითხრობს იესო ქრისტეს მიერ ორის ბრმის, ერთის ეშმაკეული მუნჯის და განრღვეულის განკურნებაზედ. ბრმებს და განრღვეულს განკურნებამდისაც სწამდათ იესო ქრისტე ძედ ღვთისად და ამისთვის ევედრებოდნენ შველას. შემდგომ განკურნებისა იგინი, არა მიმხედ-ველი მისა, რომ განმკურნებელი უშლიდა მათ მას-ზედ არა ეთქვათ რა, ყველგან, სადაც კი იქნებო-დენ, აქებდენ და ადიდებდენ მას. მუნჯმა ეშმაკეულ-მა კი, შემდგომ განკურნებისა და მისგან ეშმაკის განსვლისა, ირწმუნა, მადლობდა და ადიდებდა თავის განმკურნებელსა ქრისტესა.

უსწავლელი და გულ-წრფელი ხალხი, დამნახვე-ლი ამისთანა მოურჩენელ ავათ-მყოფობის უცებ განკურნებასა, ადიდებდა ღმერთსა და ამბობდა: ამ ნაირი მოვლინება ღვთის ყოვლად შემძლებლობის და მოწყალებისა, ჯერეთ არაოდეს არ ყოფილა ის-რაილსა შორისო.

შურების წინამძღვარნი კი—ფარისეველნი და მწიგ-ნობარნი, სწყრებოდენ და მოიძულეს ყოვლის შემძ-ლებელი სასწაულთ მოქმედი, და, ყოველს მოხერ-ხებულს შემთხვევაში სცდილობდნენ ხალხის წინაშე მისს დამცირებას, ცილსა სწამებდენ და ჰკიცხავდნენ, რომ იგი სჭამს და სვამს ცოდვილთათანა; რომ იგი შაბათს არ იმარხავს, არ უქმობს, რომ მისი მოწა-ფეები არ მარხულობენ; რომ ეშმაკეულ გარდარეუ-ლებსაც ჰკურნავს, არჩენს ძალითა მთავრისა ეშმაკ-თათა და ერთის სიტყვით: ,,ესე კაცი არა არს ღვთისა-გან“ (იოან. 9, 16). რომ ხალხს ძლიერ მოსწონდა ქრისტეს ჭეშმარიტი და მაცხოვარებითი სწავლა, გან-ცვიფრებული იყო მისის სასწაულებით, გრძნობდა მადლობის შეწირვას სნეულთა განკურნებისთვის და მზად იყო ერწმუნა იგი, იესო ქრისტე ძედ ღვთისად,—ეს ყველასთვის ცხადია. მაგრამ რამ აღძრა და აღაშ-ფოთა ფარისევლები წინააღმდეგ ღმერთ-მამა კაცისა, რომელიც ქადაგებდა მშვიდობასა და ყველასთან სიყ-ვარულსა? მაშ რა აწუხებდა ფარისევლებს, რომ მათ განეკიცხათ, დაემცირებინათ და ცილი შეეწამათ მისთვის, რომელმან მხოლოდ უმაღლესის კაცთ-მოყვა-რების საქმენი შეასრულა? მიზეზი ყველა ამისა იყო შური, რომელსაც სძულს ყოველი სიკეთე და ჭეშმა-

რიტება. შური ძალას ატანდა ფარისეველებსა, რომ ეგრე მტრულად მოჰქცეოდენ გულით მშვიდს და წყნარს, ჭეშმარიტების მქადაგებელს, უანგაროს და კაცთ-მოწყალე კეთილის მყოფელსა.

ფარისეველები სცდილობდენ თავი-თავი ეჩვენებინათ კეთილ-მსახურად და მტკიცედ სჯულის აღმსრულებლად. მეათე ნაწილს თავის შემოსავლიდგან იგინი ურიგებდენ ღარიბებს, გაჭირვებულებს, დიდ-ხანს ლოცულობდნენ; საჭმლის მიღებამდის ყოველთვის ხელებს იბანდენ; მაგრამ ამავე დროს, ჩუმათ ანადგურებდენ და აწიოკებდენ იგინი ქვრივთა და ობოლთა; არავინ ებრალებოდათ; უსამართლოდ იქცეოდენ და მრავალთა ბოროტებასა სჩადიოდენ. უფალმა შენიშნა, რომ იგინი ზრუნვენ მხოლოდ გარეგან კეთილ-მსახურებაზედ და დაეტოვებიათ სჯულის უპირატესნი თვალ-საჩინო მოთხოვნილებანი: სამართალი, მოწყალება და სარწმუნოება.

მან დაინახა, რომ მათნი გულნი აღსებულან ბოროტებითა და ცბიერობითა; ამხილებდა მათს საეჭვო მოგონილ სათნოებათა; მათს პირ-მოთნეობითი კეთილ-მსახურებათა, და უხსნიდა მათ, რომ ცხონებისა და ნეტარებისთვის არ კმარა მხოლოდ ერთი გარეგანი აღსრულება ეკლესიურის წესებისა; საჭიროა ამასთანვე შინაგანი რწმუნება და სურვილი ღვთისადმი დიდებისა. (მათ. 23, 13—23). მის მაგიერ, რომ მათ წმინდის გულით მოესმინათ და მიეღოთ მხილება და დარიგება ქრისტესი და გასწორებულიყვნენ, ფარისეველნი ღვთაებრივ-მხილებლის წინააღმდეგ აღენთენ ბოროტებითა. იქამდის იყვენ აღშფოთებულნი, რომ თითონაც კი ვერ პოულობდენ მიზეზსა, რომ ხალხის წინ მათ დაემცირებინათ და გაემტყუნებინათ იგი. მისი ცხოვრება იყო მაგალითი და ნიმუში ერთი კეთილ-მოქმედებისა; სიმართლე და ჭეშმარიტება მისის სწავლისა—ყველასთვის ცხადია; მისი სასწაულები არამც თუ მარტო გასაოცრად მიაჩნდა ხალხსა, არამედ ხალხმა, მათთა დამნახველმა, ირწმუნა იგი ვითარცა ქრისტე ძე ღვთისა. (იოან. 11, 27, 12, 11).

რომ ახალი მასწავლებელი იყო სიმართლის მთქმელი, მიუფერებელი, პირ-უთნეველი და ჭეშმარიტის გზის მაჩვენებელი, ამისთვის შურმა დიდად შეიპყრა ფარისეველები და აუმტერდენ მას—ქვეყნის მაცხოვარს. რა არის შური? „შური“, წმიდა ვასილის განმარტებით, სხვა არა არის რა, როგორც მხოლოდ გულის მწუხარება, შხამი და ნაღველი, რომელიც წარმოდგება კაცის, მოყვესის კეთილ-წარმატებისა და დაწინაურებისა გამო.

შური არის სათავე და დასაბამი ყოველის ბოროტებისა; არის პირველი გესლიანი სიბილწე და სისაძაგლე, რომელმა გარჰყენადა განხრწნა ნათესავი კაცობრიობისა და შთააგდო იგი აუარებელ უბედურებაში. შური—ეს იმისთანა დამღუპველი სულიერი ენებაა, რომელმაც ღრმად გაიდგა ძირი კაცობრიობის ნათესავში პირველის დღიდგანვე მის გაჩენისა, სიცოცხლისა, და წარმოშობა მრავალი ცოდვა-ბიწიერებანი: სიბოროტე, ავ-კაცობა, სიძულილი, ცილისწამება და სხვ. ამაზე უმეტესი დამღუპავი სისაძაგლე და სენი, ამბობს წმ. დიდი ვასილი, არა ჩაისახება რა კაცის გულში. სხვა ბიწიერებანი მაინც არ სტანჯვენ და არ აწვალებენ მათს მიმდევარ-მიმყოლსა, შური კი პირველადვე სტანჯავს და ჰღუპავს თვით მეშურნესა. როგორც რკინას ჩასჭამს ჟანგი და როგორც ხეს ხრწნის და ჰფქვავს მატლი, ეგრეთვე შური—სულსა, რომელშიაც იგია ფესვ-გამდგარი. ეგრეთი სიბილწე აბნელებს კაცის გონებას, აჩლუნგებს გულის გრძნობას და ამხნევებს კაცს ყოველს არა წმინდებასა და გარდახდომაზე, ამბობს წმ. დ. ვასილი.

ბევრი უნდა მოითმინოს იმანაც, ვინც, საუბედუროდ, ხდება შურის მეძიებლის მსხვერპლად. ქიდევაც რომ ერიდებოდეს იგი მის დევნას, თავს მართლულობდეს, ან ემალებოდეს, ან პასუხს არ აძლევდეს და თუნდ—კეთილსაც უშვრებოდეს, მაინც ყველგან პოულობს მას მეშურნის თვალი, ხედავს ყველაფერს, რასაც კი შვრება უბედური მისი მსხვერპლი.

არ არის იმისთანა კაცი, რომ რაც უნდა სათნო და კეთილის-მყოფის ცხოვრებისა იყვეს, არ შესცდეს და არ შესცოდოს. მხოლოდ ერთი ღმერთი არის უცოდველი. შურის მეძიებელი სტანჯავს და აწვა-

ლებს თავის უბედურ მსხვერპლს, მართალს ადამიანს. ის კიდევ არაფერი, თუ რომ მეშურნე ნამდვილ მის ნაკლულევანებას სახალხოდ აცხადებს, უბედურობა ის არის, რომ ის მცირე რაიმე ნაკლს გააზვიადებს ან და მოუგონებს და ცილს შესწამებს იმისთანაში, რომელშიაც სრულებით არ ურევია და არაიცის რა უბედურმა მართალმა კაცმა.

მოშურნეთა ულირსნი ქცევა-საქმენი ჩვენ არ მოგვწონს და ამისთვის გვეზიზღებიან იგინი. ესრედ სამწუხაროდ და გულის აღმაშფოთებლად ეხედავთ ჩვენ შურისგან მომხდარ საქმეებს: ა) ეშმაკისგან ცდუნება ჩვენთა პირველ-მშობელთა ადამ და ევასი; ბ) ქაენისგან თვისი ძმის აბელის მკვლელობა; გ) იოსების გაყიდვა თვისის ძმებისგან; დ) დავითის დევნულობა საულ მეფისგან და ე) ცილის-წამება ფარისევლებისგან და მათი გარდაწყვეტილება ღვთის ძის სიკვდილით დასჯაზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ნაირ შურისგან წარმომდგარნი ბოროტებანი მეშურნეს კანონიერად და ჯეროვნად მიაჩნია, და არა საძრახსათაკილოდ. ამპარტავანთა ურიათა ხალხის წინამძღვართა, ფარისევლებს, არ მოსწონდათ გამამტყუნებელი ქადაგება და მოძღვრება ღმერთ-მამაკაცისა. ამ დიდების და პატივის მოყვარულთ ხალხის მასწავლებლებს არ შეეძლოთ გულ-გრილად ეყურებინათ მასზე, რომ ხალხმა დასტოვა იგინი, და მისდევდა ახალს მასწავლებელს, რომელიც მრავალთა სასწაულთა იქმოდა (იოან. 11, 47—48). ეგრეთა უფლების მოყვარეთა უმფროსებმა ვერ შეიძლეს იმ ჰაზრის შემეცნება და გაგება, რომ მათ უნდა დაეთმოთ უფლება ხალხზედ დიდად მათზედ საქმითა და სიტყვითა წინაშე ღვთისა და ყოვლისა ერისა ძლიერისთვის (ლუკ. 24, 19). მაგრამ ვითომც არ ამჩნევდნენ, რომ იგინი მოქმედებენ შურისა გამო, თავიანთ მოქმედებათა არ სთვლიდენ უკანონოდ და თვისნი საქციელნი მიაჩნდათ წმიდათ და უცოდველად; მოქმედებდენ და იქცეოდენ ისე, ვითომც იგინი მტკიცედ იმარხვიდენ და ასრულებდენ სჯულსა. და არც გასაკვირველია, ძმანო, რომ მათ ევრე ეფიქრნათ; შურმა ისე გააბოროტა მათი გული, რომ მათ თვალები დახუჭეს, ყურები დაიცვეს და სთქვეს: არც ვიხილოთ და არც ვისმინოთ და არცა გულის ხმა ვჰყოთ ჭეშმარიტება. (იოან. 12, 40).

ჩვენგანი კი ცოტაა, ძმანო და დანო, თავისუფალი ამა დამღუპველი ჩვეულებისა და ენებისაგან? მგონია-ერთობ ნაკლები... მაგალითებრ: განა არ ვწუხვართ და გული არ გვტკივა, როცა კაცის კეთილ-მდგომარეობას, გულ-უხვობას, პურადობას, ან ვაფრთხილებას, თავ-და-რიგით ცხოვრებას, ან შრომის მოყვარებას და ბუნებითი ნიჭიერებას, ან საქმეში დაწინაურებას და გამარჯვებას და ან მის პატიოსნებას და კეთილ-მოქმედებას ეხედავთ ხოლმე? ხან-და-ხან არ ვამბობთ ხოლმე, რომ „ნუ თუ“ ამა და ამ მდიდარმა კაცმა შეიძინა ყველაფერი პატიოსნის გზითა. ზოგიერთთა პურადობას და სიუხვეს არ ვეძახით ხოლმე განბნევას და განფლანგვას? სხვათა გაფთხილებულ და ანგარიშით ცხოვრებას—ძუნწობას და ძვიროობას? ზოგიერთა შრომის მოყვარებას—გაუმაძღროობას; სულიერთა სიკეთეთა—ცბიერებას; საქმეში გამარჯვებას—შემთხვევას; სათნოებას უწოდებენ პირ-მოთნეობად და კეთილის-მოქმედებათა—დიდების მოყვარებას? ჩვენ რა გვატანს ძალას, რომ ან ჩვენ თანასწორთა და ან ჩვენზედ უმეტესთა შორის ვეძიებთ ნაკლულევანებასა, უგვანო ქცევათა და ყველასთან ვეიცხავთ და ვამცირებთ? შური და ისევ შური, რომელიც ამხნევებდა და აგონებდა ფარისევლებს ცილი შეეწამათ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთვის. ათასის წლის განმავლობაში ბევრად გამოიცვალა კაცობრიობა და მიილტვის უკეთესისადმი: განათლებამ გახსნა იგი გონებითად, ქრისტიანობრივმა სარწმუნოებამ დიდად აღამაღლა იგი ზნეობითად და, მაინც, არ განთავისუფლდა იგი ამა წამრწყმენდელი გულის სურვილისა და მიდრეკილებისაგან. ასე ღრმად გაიდგა ფესვი კაცის ბუნებაში ამ „გესლიანმა ბიწიერებამ“—შურმა და სიხარბემ!

ასეა ძმანო და დანო ჩემნო, მაგრამ განა არ არის რაიმე საშუალება, რომ გავინთავისუფლოთ თავი ამ დამღუპველი ბიწიერებისაგან? დიაღ, ჩვენ მოვიცილებთ თავიდგან მას მაშინ, როცა ჩვენ მივბაძავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მაცხოვარს, როცა ვისურვებთ და ვეძიებთ ყოველთვის მხოლოდ ერთს სიკეთეს ერთის-მეორისა და ყველასათვის (1 თეს. 5, 15); როდესაც წმინდის გულით შევიყვარებთ ჩვენს მოყვასთა და ჩვენის პატიოსანის ქცევით მივიზიდავთ მათ ურთი-ერთის სიყვარულისადმი; როდესაც აღვიარებთ და ვიტყვით, რომ ქვეყნიურს და ზეციურს სიკეთეს გვაძლევს ჩვენდა ჩვენთა მოყვასთა ჩვენი გამჩენი ღმერთი; როცა თანახმად ღვთის სიტყვისა და სჯულისა მოვიქცევით, ყოველისფერში დავემორჩილებით და მივენდობით ღვთის ნებას; როდესაც ჩვენ არაფრად ჩავაგდებთ არცა სიმდიდრესა, არცა ქება-დიდებასა და არც ჯანმრთელობასა, არამედ მარადის ვზრუნავთ და მივილტვით საუკუნო ნეტარებისა და ჭეშმარიტებისადმი.

და ესრედ, ძმანო და დანო, რომ არ დავემონოთ დამღუპველ და წამწყმედელ სიბილწეს, მოვერიდნეთ შურსა და მრისხანებასა და შევასრულოთ მარტო ის, რაც ჩვენთვის და სხვათათვის სასარგებლოა, ესე იგი ვქმნათ ის, რაც არს პატიოსანი, რაც მართალი, რაც საყვარელი, რაც საქებელი და რაც სათნოა (ფილ. 4, 8). და მშვიდობა იგი ღვთისა განამტკიცენით გულთა შინა თქვენთა, (კოლ. 3, 13). რომ აღვასრულებდეთ მათ წმიდა ქრისტიანობრივის სიყვარულითა და მოყვასთა ჩვენდამი კეთილის სურვილითა. ამინ!

დეკ. რაჭდ. მ—ვილი. გ—რი.

გორის სასულიერო სასწავლებლიდგან.

გამოცდა ყმაწვილებისა, რომელთაც ჰსურთ შესვლა გორის სასულიერო სასწავლებელში, იქნება 27 აგვისტოს, ხოლო მეორედ გამოცდა ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეებისა 28 და 31 იმავე თვისას; თხოვნა სასწავლებელში მიღებაზედ და ყვავილის ნახადობისა ანუ აცრისა სასწავლებელში შემოსვლის მსურველთა უნდა წარმოადგინონ აგვისტოს 25-მდე.

განცხადებანი.

სტამბა

მ. დ. ღამბაშიძისა და აზ. ე. ი. ხელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში 15 მაისს, 1886 წ. კნიაჟესკის და ნემეცის ქუჩაზე, საქალებო გიმნაზიის პირ-და-პირ, მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს სხვა-და-სხვა ენებზედ. ფასი ყველა საბეჭდავზე ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაპირებულ დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელოებას ყოველ-გვარი საჭირო ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია ზომიერ ფასად. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შეუძლიათ მიმართონ ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, въ типографiю Гамбашидзе и Хеладзе* ანუ *Въ Квирилу, въ редакцiю „Мцкемси“ (Пастырь) и Въ Тифлисъ въ типографiю Е. И. Хеладзе. въ собст. домъ.*

შინაარსი: კიდევ მოწამებრივი სიკვდილისა გამო სემინარიის რექტორის, დეკანოზის ჩუდეცკისა.— სასიამოვნო მოვლენა.— პეტრე-პავლობის დღესასწაულობა მარტვილში.— ახალი ამბები და შენიშვნები.— მოძღვრება წმიდა და დიდ-მარხვაზედ.— საუბარი მოძღვრისა თავის მრევლთან.— განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 9 Іюля, 1886 г.*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ე. ი. ხელაძისა.